პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 233 (13925) | ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვახტზეა საბჭოთა საქართველო

გეგმის ზეპირი 1.224 ათასი მანეთის პროდუქცია

როგორ შეასრულეთ 9 თვის გეგმები? — ამ კითხვით მიმართა გაზეთი „კომუნისტის“ კორესპონდენტმა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ პარტიული კომიტეტის მდივანს დ. კოპლატაძეს.

— კომბინატის კოლექტივი საოქტომბრო ვახტზე დგას, — თქვა დ. კოპლატაძემ. — სექტემბრის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. მზა ნაწარმის გეგმა 101,9 პროცენტით გავანადღეთ, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 45.000 მეტრი ქსოვილი. მაღალი მაჩვენებლებია სასაქონლო პროდუქციის გეგმების შესრულებაშიც. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა შესრულებულია 109,3 პროცენტით, საერთო პროდუქციისა კი 103,1 პროცენტით. გამოშვებულია 5.249 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. გეგმის გადამეტებით კოლექტივის ანგარიშზეა 1.224 ათასი მანეთის პროდუქცია.

ჭიათურა. (საკ. კორ.). რესპუბლიკაში საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები — ჭიათურელი მაღაროელები აღმავლობით მუშაობენ, იბრძვიან მომმე უკრაინელ მაღაროელებთან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ჭიათურელები პირნათლად ასრულებენ პირობას. ლენინის ორდენოსანმა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა ორი კვირით ადრე შეასრულა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ცხრა თვის დავალება.

ინიციატორებმა ვალდებულება შეასრულეს

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გამარჯვება, რაც ქართველმა მაღაროელებმა საიუბილეო შეჯიბრებაში მოიპოვეს. **მათ საიუბილეო წელს საშუშბლოსათვის გეგმის გადამეტებით უნდა მიეცათ 100 ტონა სასაქონლო მარგანეცი. ეს ვალდებულება ვადამდე შესრულდა. 15 სექტემბრისათვის შეჯიბრების თაოსნებმა მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს 117.000 ტონა მარგანეცი.** ამ გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს კალინინის, ორჯონიკიძის, დიმიტროვის სახელობის მაღაროების, ცენტრალური დამამუავნი ფაბრიკის კოლექტივებმა.

ზეგეგმითი პროდუქცია

ბორჯომის შუშის ქარხნის კოლექტივი წარმატებით ანაღდებს საიუბილეო წლის ვალდებულებას. 10 სექტემბრისათვის ქარხანამ 46.540 ათასი ცალი ბოთლი გამოუშვა და პროდუქციის წარმოების 9 თვის დავალება ვადამდე გაანაღდა. 20 სექტემბრისათვის ქარხნის კოლექტივს ოქტომბრის ანგარიშში გამოშვებული ჰქონდა 2 მილიონი ბოთლი.

დ. ჭიჭილეიშვილი.

შრომითი ნოგათები

ქარელის რაიონის მშრომელები სახახელოდ ეგებებიან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს, — აცნობებს გაზეთ „კომუნისტს“ რედაქციას საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ბოლიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. კოპაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. შუბითიძემ, — სახელმწიფოს მიეყიდა 5.410 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.990 ცენტნერისა, 13.210 ცენტნერი რძე ნაცვლად 12.800 ცენტნერისა, 850 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 840 ათასი ცალისა, 414 ცენტნერი მატყელი ნაცვლად 406 ცენტნერისა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის, აბრეშუმის პარკის, კურკოვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმები. ნაცვლად 1.550 ტონისა დამზადებულია 2.058 ტონა კურკოვანი ხილი.

ორჯონიკიძის რაიონში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა განაღდებულია 102 პროცენტით, რძისა — 111 პროცენტით, კვერცხისა — 141 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 112 პროცენტით, — ეს აცნობეს გაზეთ „კომუნისტს“ რედაქციას საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჯობლიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. რობაძიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. გრიბალაშვილმა.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თბილისის მეტროპოლიტენის მეორე უბნის მშენებლობა. მეტრომშენებლებმა გადაწყვიტეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღეს „საექსპლოატაციოდ გადასცენ უბანი.

მშენებლობაზე ბევრი მოწინავე ბრიგადაა. მათ რიცხვშია ჰიდროსაიზოლაციო ბრიგადა, რომელსაც შ. დგებუაძე ხელმძღვანელობს. აქ გეგმა ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება. გრაფიკის დიდი გასწრებით დაამთავრა ბრიგადამ საიზოლაციო სამუშაოები სადგურზე — „ლენინის მოედანი“. ახლა აქ მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

7 ნოემბერს, საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს დღეს, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე უბნის სადგურები პირველ მგზავრებს მიიღებენ.

სურათზე: შ. დგებუაძე, ა. მამაევი, გ. სუთიაშვილი.

ფოტო ზ. ბიჭიკაევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბილეო პრემია ზესტაფონელ მექანიკოსებს

გვლავ ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან საიუბილეო წელს ქართველი მეკანიკოსები, — გვწერენ ზესტაფონის ქარხანა „საკაბელის“ დირექტორი დ. კუნიანიძე და პარტიული ბიუროს მდივანი ა. ყანჩაველი, — თვის საწარმოო დავალება კოლექტივმა მრავალ კვირით ადრე, 23 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. სამშობლოს მივეცით რამდენიმე ასეული კილომეტრი ზეგეგმითი კაბელი.

ამ დღეებში სასახარულო ცნობა მიიღეს შეკაბელებმა. სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ ელექტრონული ტექნიკური მრეწველობის საწარმოთა შორის ერთადერთი საწარმოა, რომელმაც საპრიზო ადგილი დაიკავა მეორე კვარტალის შედეგებით.

ამ ბოლო წლებში იმპერიალისტურ წრეებს არაერთხელ მიუყვანიათ საქმე იქამდე, რომ შექმნილა დაძაბულობის სიტუაცია ერების ან სერიოზული კრიზისები. მსოფლიოს პროგრესულმა ადამიანებმა იციან — საბჭოთა კავშირი რომ არ იღვწოდეს მშვიდობის დასაცავად, ყოველ ასეთ კრიზისს შეიძლება მოჰყოლოდა უმძიმესი შედეგები მთელი კაცობრიობისათვის.

საბჭოთა კავშირს უმნიშვნელოვანეს საგარეოპოლიტიკურ ამოცანად მიაჩნია ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ბინძური ომის შეწყვეტა და ევროპაში დაძაბულობის შენელება. საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკური პროგრამა ნათელია ყოველი ადამიანისათვის და მას მხარს უჭერს მსოფლიოს ყველა ხალხი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განახორციელონ ეს პროგრამა, რადგან იგი შეესაბამება საბჭოთა ხალხის ინტერესებს და უზრუნველყოფს მშვიდობიან პირობებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობისათვის.

ბ ა ვ ა ვ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ვ ა ვ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ვ ა ვ ა ნ ი ს ა ნ ა ბ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდა და საიუბილეო ვალდებულებათა შესრულება

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 28-29 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდისა და ქალაქების თბილისისა და სოხუმის, ქობულეთისა და ყვარელის რაიონების მუშრომელთა საიუბილეო ვალდებულებათა შესრულების შესახებ“;

„საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობისა და საუშე მასალათა წარმოების მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ჯავახიშვილმა.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმიროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მუჟავანაძემ.

„კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ანგარიშს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდა და საიუბილეო ვალდებულებათა შესრულება

თავის ანგარიშში პლენუმზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ი. შეკვარდნაძემ თქვა, რომ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადება განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 4 იანვრის დადგენილების შემდეგ, რომელმაც პარტიულ ორგანიზაციებსა და ყველა მშრომელს დაუსახა ამოცანები ამ საყოველთაო სახალხო დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის განხილულ იქნა ქალაქის ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციისა და პრეწყველობის, ტრანსპორტის საწარმოთა, სასწავლებელთა, სამეცნიერო და შემოქმედებითის დაწესებულებათა, მშენებლობათა, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა კოლექტივების კრებებზე. შემუშავდა ვრცელი პროგრამა ოქტომბრის ზეიმის მოზადებისათვის და თბილისის მშრომელებმა იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი საიუბილეო წელს.

გადაუჭარბებლად შეიძლება თქვას, რომ ბოლო დროს მასების შემოქმედებითის აქტივობასა და სოციალისტურ შეჯიბრებას არ ჰქონია ისეთი მასობრივი, ნაფდელად საყოველთაო სახალხო ხასიათი, როგორც ახლა. თბილისში სოციტობრო შეჯიბრებაში მონაწილეობს 260 ათასზე მეტი კაცი, ხოლო კომუნისტური შრომის მოძრაობაში ჩაბმულია 115 ათასზე მეტი კაცი.

ქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 23 სექტემბერს, შეასრულა ცხრა თვის გეგმა — გასული წელთან შედარებით 10,6 პროცენტით გადააჭარბა სამრეწველო წარმოების მოცულობას.

ეს დიდი მიღწევა იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ჩვენი ქალაქის მრეწველობის ყველა მშრომელი ღირსეულად ასრულებენ საწარმოო გეგმებსა და ძირითად სოციალისტურ ვალდებულებას.

ქალაქში დიდი მუშაობა განხორციელდა საცხოვრებელი ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის, კეთილმოწყობისათვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის და სხვ.

ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საწარმოთა გადაყვანისათვის. ამჟამად ახლებურად მუშაობს ქალაქის 51 საწარმო. საწარმოთა და ორგანიზაციათა უმრავლესობა გადავიდა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე.

პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმიანობის იუბილესთან მზადების მრავალფეროვან პროგრამაში ძირითადი ადგილი ეკავა და უკავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. თბილისის მშრომელებმა ეს ისტორიული დოკუმენტი აღიქვეს უდიდესი კმაყოფილებით და მოიწონეს ერთსულოვნად, როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა. ჯონების თვალს აელვებენ რა პარტიისა და ხალხის მიერ განვლილ ბრძოლისა და გამარჯვებათა გზას, ჩვენი ქალაქის მშრომელები გულწრფელ მადლობას უხდიან პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საჭოთა მთავრობას საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის. ამ ზრუნვის ახალი მკაფიო დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელმაც გამოიწვია შემოქმედებითი ენერგიის ახალი მოზღვავება, მხურვალე მისწრაფება იშრომონ ნაყოფიერად, ამრავლონ წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და ხალხთა მეგობრობის ზეიმის მკაფიო დემონსტრაცია.

სახელოვანი საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციებით აღზრდილი კომუნისტები და თბილისის ყველა შრომელი ღირსეულად შეხვდებიან საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს და შუდამ იქნებიან ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ადლეიბამ აღნიშნა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადება აფხაზეთის დედაქალაქში მიმდინარეობს ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ძალიან შრომის ნაყოფიერებისა და ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ნიშნით.

ნაკისარი სოციალისტური ვალდებულებანი ითვალისწინებენ წლიური გეგმის შესრულებას 15 დეკემბრისთვის. დასახულია ვადამდე ამუშავდეს სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები. სოციალისტურ ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს.

სარეწველო საწარმოთა მუშაობის შედეგები მოწმობენ, რომ მათი კოლექტივები წარმატებით შეასრულებენ წლიურ პროგრამას. ათიათასი წელს უფრო უკეთ შრომობენ მშეაებლები. წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადაეცა 7.200 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ბავალი სკოლა და სხვ.

მიღწეული წარმატებანი პარტიულ ორგანიზაციათა მიზანდასახული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, კომუნისტთა, მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენელთა მამობილიზებელი როლის შედეგია, რომლებიც პირადი მაგალითით შთაგონებენ კოლექტივებს იბრძოლონ დიდი დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის.

შემდეგ ამხ. ადლეიბამ თქვა, რომ დიდი მუშაობა წარმოებს, რათა პროპაგანდა გაუწიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის.“ საიუბილეო თარიღისათვის მზადებასთან დაკავშირებით ფორმითა და შინაარსით სულ უფრო მდიდარი გახდა მთელი იდეოლოგიური მუშაობა, რომლის მიზანია ადამიანთა აღზრდა მაღალი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით, ჩვენი ხალხის საბრძოლო რევოლუციური ტრადიციებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 26 სექტემბრის პლენუმმა და პარტიისა და მთავრობის დადგენილებებმა კომუნისტებისა და ქალაქ სოხუმის ყველა მშრომელის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

მომხსენებელმა აღუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ლენინური პარტიის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებისადმი ერთგული სოხუმის კომუნისტები და მშრომელები ძალ-ღონისა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა საბჭოთა სახელმწიფოს ნახევრისაუკუნოვან იუბილეს შეხვდნენ კიდევ უფრო დარაზმული კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტი ერშუმრ და თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი პატრიოტული და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს, ამბობს პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი

კომუნისტი

№1-2 (2127)
ოთხშაბათი,
4 ოქტომბერი,
1967 წ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდა და საიუბილეო ვალდებულებათა შესრულება

რ. სიმონიძე. თავიანთ შრომით საჩუქრებს უმზადებენ იუბილეს ქობულეთის რაიონის მშრომელებიც. ჩვენმა მეჩაიეებმა, მეციტრუსეებმა, მესამინდეებმა წლის დამდეგიდან შეუთავაზეს ბრძოლა გააჩაღეს საიუბილეო ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და შესაბამისად შედეგებსაც მიაღწიეს. რაიონის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მაღალი მაჩვენებლების ძიებას ხელი შეუწყო მშრომელთა შორის კარგად დაყენებულმა იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა მუშაობამ.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ეყრდნობიან პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ფართოდ გაშალეს ოქტომბრის 50 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდა. თეზისები განიხილა ყველა კომუნისტმა და მშრომელმა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში რეგულარულად კითხულობენ ლექციებსა და მოსახებებს თეზისების ძირითად საკითხებზე. დიდი ინტერესი გამოიწვია თეორიულმა კონფერენციებმა თემებზე „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და მისი მნიშვნელობა სსრ კავშირისა და მთელ მსოფლიოში სოციალიზმის ბედისათვის“, „ოქტომბერი და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა“ და სხვ.

ამ საიუბილეო დღეებში მშრომელები ხვდებიან რევოლუციის ვეტერანებს, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეთ, საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანებს, მოეწყო მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ფესტივალები, ფეზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადა და სხვა ღონისძიებანი.

რაიონის მეჩაიეებმა ვადამდე შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. 28 სექტემბრისათვის მოკრეფილია 24.746 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23.500 ტონისა, ჩაის ფოთლის ჰექტარობრივმა მოსავალიანობამ მიაღწია 5.700 კილოგრამს. კიდევ უფრო დიდ მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, მეჩაიეებმა. შეუფერხებლად და მაღალ დონეზე მუშაობენ ჩაის ფაბრიკები. უზე მოსავალი აკეთრდებიან ციტრუსის პლანტაციები. წელს გადაეწყვეტათ სახელმწიფოს მოლიანად ჩაბაბარო ციტრუსები ისევე, როგორც ჩაის ფოთოლი.

მომხსენებელი აყენებს საკითხს ქობულეთში მოეწყოს საკურორტო პოლიკლინიკა, აღადგინონ საკურორტო საქართველო, რაც ხელს შეუწყობს ქობულეთში ყოველწლიურად ჩამოსულ დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების კოლექტივებმა, ამბობს პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ზაუტაშვილი, ფართოდ დაუჭირეს მხარი მოსკოვი, ლენინგრადის, აგრეთვე ჭიათურისა და ხიდანის მშრომელთა ინიციატივას დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება. მშრომელთა კოლექტივების კრებებზე გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს საწარმოო გეგმების შესრულების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ვადიდების, ხარისხის გაუმჯობესების, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვის შეაბებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები დიდმნიშვნელოვანი სტიმულია ამ ვალდებულებათა შესრულებაში.

ამხ. ზაუტაშვილმა აცნობა პლენუმის მონაწილეთ, რომ ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, ჯერ კიდევ 1965 წელს ყვარლის რაიონმა ფართო ჩვენებით მიიღო მონაწილეობა სსრ კავშირის ახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში და მოიპოვა პირველი ხარისხის დიპლომი. შარშან რაიონი მეორედ მონაწილეობდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძალებათა გამოფენაში. ხოლო წელს რაიონის მშრომელებს სოფლის მეურნეობის განვითარების ისეთი მაჩვენებლები აქვთ, როგორც არასდროს.

ამ წარმატებებს განაპირობებს კომუნისტთა ავანგარდული როლი, რომლებიც მეთაურობენ თითქმის ყველა კოლმეურნეობას, საწარმოო ბრიგადას, საბჭოთა მეურნეობას, ბერძენა და რგოლს. წელს მარცვლეულთა ჰექტარობრივმა ნოსავალმა მიაღწია 22,5 ცენტნერს გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერის ნაცვლად. თითქმის თხუთმეტივე კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო დაკვლებანი. კარგად იმუშავეს ვეაბრეშუმეებმა, მეცხოველეებმა, მეფიმინდეებმა. წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, ხილის, ბოსტნეულის, ბალეულის მიყიდვის გეგმები. დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს ეთერზეთოვანი კულტურების გადამუშავება.

ბევრი ლამაზი შენობა აღიმართა ქალაქ ყვარელსა და სოფლებში. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ფართოეკრანიანი კინოთეატრი, სპორტული ბაღის, ცენტრალური უნივერმაღის. სახელმწიფო ბანკისა და შემნახველი სალაროს შენობები, 400 ჰექტარზე გაშენებულია ტყე-პარკი. სოფელ ენისელში საკქსელოტაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი. უახლოეს დღეებში ყვარელში დამთავრდება 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. დაიწყო წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქცია. რაიონის სოფლებში გაფართოდება ძველი ქუჩები. გაიყვანენ ახალ ქუჩებს, გაშენდება საკვირაო და გაზონები, აშენდება ახალი საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სახოგადოებრივი შენობები.

ენმინისტრ ბ. ჯავახიშვილის მოხსენებიდან ჩანს, რომ ბევრ მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და ხალხთა მეგობრობის ზეიმის მკაფიო დემონსტრაცია.

ენმინისტრ ბ. ჯავახიშვილის ანგარიშიდან ჩანს,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

პროექტი, რომლებიც ხშირად არ შეესაბამება საწარმოთა ოპტიმალურ სიმძლავრეებს.

ამ ბოლო დროს, თქვა ამხ. ჯავახიშვილმა, ბევრს ლაპარაკობენ არქიტექტურის „გაღარიბებაზე" ტიპობრივი პროექტების გამოყენების გამო. ეს საკითხი რთულია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ტიპიზაციასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ შენობათა და ნაგებობათა დეტალები, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე არქიტექტურის მოთხოვნებს.

რესპუბლიკის სახმშენის წინაშე დგას სერიოზული ამოცანა — საბინაო მშენებლობის უზრუნველყოფა ისეთი ხარისხოვანი ტიპობრივი პროექტებით, რომლებიც შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის სპეციფიკას, გეოგრაფიულ, სეისმურ და სხვა პირობებს.

რესპუბლიკის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კანონზომიერი მშენებლობა რომ უზრუნველყოთ, უნდა დავაჩქაროთ მათი განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმების შედგენა. თბილისის, რუსთავისა და სხვა ქალაქების განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმების შემუშავება ჯერ კიდევ ნელა და არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მათ უსისტემოდ და ქაოსურად აშენებენ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

კაპიტალური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სრულად კმაყოფილდება კაპიტალური მშენებლობის საჭიროებანი ძირითად საშენ მასალებზე.

ამასთან, თქვა ამხ. ჯავახიშვილმა, საშენ მასალათა და, უწინარეს ყოვლისა, საკედლე და ინერტული მასალების წარმოება ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩება, ვერ აკმაყოფილებს კაპიტალური მშენებლობის მზარდ მოთხოვნილებას, აფერხებს მის შემდგომ განვითარებას.

საშენ მასალათა მრეწველობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ამ ბოლო 3-4 წლის მანძილზე მთლიანად ვერ ითვისებენ მისი განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებას.

კერამიკულ საშენ მასალათა, თიხის აგურის მრეწველობას ნაწილობრივ ახასიათებს წარმოების დაკარგები. ტექნიკური დონე. კედლის მასალები და, კერძოდ აგური, რომლებსაც უშვებენ საშენ მასალათა მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა ქარხნები, ხშირად არ შეესაბამება სტანდარტს.

უნდა დადაჩქარას რესპუბლიკაში ცემენტის წარმოების გაფართოების საკითხიც. 1970 წლისათვის თითქმის ერთნახევარჯერ უნდა გადიდდეს ცემენტის ქარხნების სიმძლავრე. განსაკუთრებით საჭიროა გაუმჯობესდეს ცემენტის ხარისხი, რადგან უნიკალურ ჰიდროტექნიკურ და სხვა საინჟინრო ნაგებობებს, რომლებიც რესპუბლიკაში შენდება, ესაჭიროებათ მაღალი ხარისხის მჭიდა მასალები.

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაფართოდა ასაწყობი რკინაბეტონის ნომენკლატურა. „საქმშენინდუსტრიის" სპეციალიზებული ტრესტის შექმნამ რამდენადმე გააუმჯობესა რკინაბეტონის საწარმოთა მუშაობა. მაგრამ აქაც როდია აღმოფხვრილი მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე, აფერხებს მის თვითღირებულებას.

ყოველივე ღონისძიებით უნდა განვავითაროთ ინერტული მასალების მოპოვება და წარმოება. ეს ამოცანა გადაწყდება მხოლოდ ინერტული მასალების მსხვილი, დიდად მექანიზებული საწარმოების შექმნის, დაქსაქსული საწარმოების გაერთიანების, წვრილი და არარენტაბელური კარიერების ლიკვიდაციის გზით.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაფართოვდეს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების, მარმარილოს, ბازალტის, ტუფის წარმოება, მათი დამუშავების ყველა პროცესის მექანიზაცია.

საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანები ის არის, რომ დაიჩქაროს წარმოების ტემპი, გაზარდონ მასალებისა და ნაწარმის ხარისხი და ხანგამძლეობა, მნიშვნელოვნად გაფართოონ პროდუქციის ასორტიმენტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა მოთხოვნილებისა და მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების გათვალისწინებით. მინერალური ნედლეულისა და მრეწველობის ნარჩენების უმდიდრესი რესურსების გამოყენებით საშენ მასალათა მრეწველობამ სრულად უნდა უზრუნველყოს მშენებლობის მოთხოვნილებანი მაღალი ხარისხის ადგილობრივ მასალებზე.

კაპიტალურ მშენებლობაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სამშენებლო მეცნიერებას, თქვა ამხ. ჯავახიშვილმა, რომელიც ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა. მაგრამ ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ამოცანა ის არის, რომ უფრო ქმედითი და რეალური დახმარება გაუწიონ სამშენებლო ორგანიზაციებსა და საშენ მასალათა მრეწველობას.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. ჯავახიშვილმა თქვა:

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე „კაპიტალური მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა საკითხის განხილვა ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის შემდგომ განვითარებას, უზრუნველყოფს მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკის წინაშე დასახულ დიდ ამოცანათა შესრულებას. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, თითოეულმა მუშამ, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა, მშენებლობის ხელმძღვანელმა უნდა გამჩრდეს თავიანთი მეცადინეობა, მეტი შემოქმედებითი ინიციატივა და გულმოდგინება გამოიჩინონ შრომაში, რათა ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, პირნათლად შეასრულონ ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დაუსახა მშენებლებს.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ერთ თვეზე ცოტა მეტი ხანი დარჩა მსოფლიო-ისტორიულ თარიღამდე—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავამდე, თქვა ამხ. მჟავანაძემ. ჩვენს ქვეყანაში ამ დღესასწაულისათვის მზადება მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების დიდი პოლიტიკური აქტივობისა და შრომითი ენთუზიაზმის ვითარებაში.

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთობის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისში გამართული პლენუმი, რომელმაც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის. უდიდესი ყურადღება და ერთხმულობით მოწონება, რომლითაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები შეხვდნენ თეზისებს, ცხადყოფს, რომ ჩვენი ადამიანები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებანი, ოქტომბრის იუბილეს შეეგებონ ახალი გამარჯვებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თქვა შემდეგ ამხ. მჟავანაძემ, პარტიის დიდმნიშვნელოვანი თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტია. თეზისებში შეჯამებულია საბჭოთა ხალხის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა, ჩამოყალიბებულია კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ამოცანები, ნაჩვენებია ოქტომბრის რევოლუციისა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. ახლა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მთელ პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს მოსახლეობის ყველაზე ფართო წრეებისათვის თეზისების ღრმად ახსნა.

თეზისების გამოქვეყნების პირველ დღიდანვე რესპუბლიკურმა პრესამ გაშალა მუშაობა მათი პროპაგანდისა და განმარტებისათვის. რედაქციები სწორად იქცევიან, როცა აქვეყნებენ მასალებს, რომლებიც უკავშირებენ თეზისების დებულებებს კონკრეტულ სინამდვილეს, რესპუბლიკისა და მისი მშრომელების ცხოვრებას, პრაქტიკულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ პრობლემებს. საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ აგრეთვე გამონახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდის საინტერესო ფორმები.

ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის პროპაგანდისა და განმარტებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის მშრომელებს შორის ჩვენი პროპაგანდისტები, ლექტორები, აგიტატორები, პოლიტიკური მომხსენებლები. საკმარისია ითქვას, რომ მარტო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ძალებით მოეწყო 10 თეორიული კონფერენცია, წაკითხულია 300-მდე ლექცია. რესპუბლიკის რაიონებში და ზოგიერთის საძოვრებზე გაიგზავნა 40 პროპაგანდისტული ჯგუფი. ახლა ამოცანა ის არის, რომ უფრო გავაფართოოთ და გავაღრმაოთ, უფრო ხისტემატური და მიზანდასახული გავხადოთ ჩვენი პროპაგანდისტული, სალექციო მუშაობა.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, თქვა ამხ. მჟავანაძემ, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადება მიმდინარეობს ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი სრულყოფის ნიშნით, სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით გადწყვეტის ნიშნით.

მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა და მოიწონა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების ღონისძიებანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც რეგულარულად ინფორმაციას, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ღირსშესანიშნავი თარიღისათვის.

ამხ. მჟავანაძე შეეხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მუშაობას ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანების თვალსაზრისით. და აღნიშნა, რომ რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის მრეწველობამ ცხრა თვის გეგმა და ვალდებულებანი შეასრულეს ვადამდე, 25 სექტემბრისათვის. პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი, ჟიოფორული მაღაროელები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, თბილისის ფილადელფიუსამსხმელო ქარხნის, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის, გორის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნის, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის, ბათუმის ელექტროხელსაწყოთა ქარხნისა და მრავალი სხვა საწარმოს კოლექტივები. საოქტომბრო ვალდებულებათა შესრულებაში დიდი წვლილი შეაქვთ ტრანსპორტის მუშაკებს. ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი გრაფიკის გასწრებით ასრულებს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვა და გადაზიდვის გეგმას.

ამასთან ამხ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ ყველა როდი ასრულებს სადღესასწაულო ვალდებულებებს.

ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ჩამორჩენილმა საწარმოებმა შეავსონ ხარვეზი და შეასრულონ საიუბილეო ვალდებულებანი.

დიდი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში.

რესპუბლიკის მეჩაიეებმა 28 სექტემბრისათვის მოკრეფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარეს 220 ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რესპუბლიკის ყველა რაიონმა შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა. ჩაის კრეფა გრძელდება. ვადამდე შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ამბრეუმის პარკის მიყიდვის გეგმები.

მალე დაიწყება მასობრივი რთველი. მევენახეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ყურძნის ხარისხს, უნდა დაიცვან დადგენილი კონდიცია. სერიოზული გამოცდა მოელით ღვინის მრეწველობის მუშაკებს, რომლებმაც უნდა გადაამუშაონ სრულფასოვანი ნედლეული და უფრო გააუმჯობესონ ქართული ღვინის ხარისხი. კარგად სრულდება ნაკისრი ვალდებულებანი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც.

შემდეგ ამხ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები დღენიადაგ ზრუნავენ სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ მიღწეულია კარგი შედეგები. მაგრამ მიღწეულს ვერ დავჯერდებით. რესპუბლიკის წინაშე დასახულია მასუხსაგები ამოცანები. მკვეთრად უნდა გავზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოება, აგამალოთ ვაჭრობის კულტურა. ამისთვის ყველა საჭირო პირობა გვაქვს.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში, ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტაში წამყვან როლს ასრულებენ მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკები, რომლებმაც ამ ბოლო დროს კარგ შედეგებს მიაღწიეს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, გაიზარდა პირველხარისხოვანი პროდუქციის ხვედრითი წონა. წარმოებაში დაინერგა მრავალი ახალი სახეობის და მოდელის, ფასონის, სტრუქტურისა და მოხატულობის ნაწარმი. იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საოქტომბრო შეჯიბრებაში, ამხ. მჟავანაძემ დაასახელა თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატი, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებმა. წარმატებით სრულდება დამატებითი ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საქონელბრუნვის გეგმების ვადამდე შესრულებას. ამ ბოლო წლებში პირველად დაიწყო საქონელბრუნვის გეგმების შესრულება თბილისის საცალო სავაჭრო ორგანიზაციების სამმართველომ. მოწინავე სავაჭრო ორგანიზაციების რიგებში ჩადგნენ ხიღნაღლის, თერჯოლის, ორჯონიკიძისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციები, რომლებიც წინათ ჩამორჩებოდნენ. ამოცანა ის არის, რომ უფრო მკვეთრად გავაუმჯობესოთ მყიდველთა მომსახურება, ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურის დონე, გადავჭრით ადმოვფხვრათ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები.

მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო. საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო და რაიონულმა სამმართველოებმა შეასრულეს ვალდებულებანი 351 ობიექტის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის შესახებ. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება დიდმნიშვნელოვანი, პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მიმართულებით სწორი კურსი ავიღეთ და კარგი საფუძველი ჩავუყარეთ ამ საქმეს. მაგრამ საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების დღევანდელი დონე ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. სამინისტრომ, პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა გააუმჯობესონ მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება.

კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. მჟავანაძემ, სულ უფრო მძლავრი, სულ უფრო დიდმნიშვნელოვანი ოჯახური ხდება იდეოლოგიური მუშაობა. ყველა მშრომელის აღზრდა მაღალი იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთების სრული აღმოფხვრა, პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ჰეშმარიტი სიმდიდრის შექმნა —ასეთია ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ამოცანები სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ჩვენს პრესას დიდი წვლილი შეაქვს ამ ამოცანათა გადაწყვეტაში. იგი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ერთგული თანაშემწეა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. დიადი თარიღის მოახლოების ჟამსვლაზე სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა. ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია უნარიანად ოჯერენ მხარს და წარმართავენ მშრომელთა ამ აქტივობას.

საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გადაიქცა მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა კლუბებისა და კულტურის სახლების მხატვრული თვითმოქმედების ყველა წრე.

დიდი აღმზრდელობითი და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკურ სამხატვრო გამოფენას, რომელიც თბილისში გაიხსნა. გამოთხზაში მონაწილეობს ყველა ხაობის 250-ზე მეტი ოსტატწერი, მოქანდაკე და გრაფიკოსი. შეგვიძლია თამამად ვთქვა, ხაზი გავუსვა ამხ. მჟავანაძემ, რომ ამ ბოლო წლებში არ გვახსოვს ასეთი გამოფენა. ჩვენი მხატვრების ასეთი შემოქმედებითი აღმავლობა.

სახელოვანი რევოლუციური წარსულისა და სოციალისტური სინამდვილისათმი მიძღვნილი ახალი დადგმები და ფილმები მოამზადეს რესპუბლიკის თეატრებმა და კინოსტუდიებმა. ყველა საოქტომბერო ვალაქს ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი ეს დადგმა და ფილმი საეტაპო იქნება ჩვენი ხელოვნების განვითარებაში.

კარგი საჩუქარი მოუმზადეს იუბილეს ქართველმა მწერლებმა. გამოდის ქართული პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, კრიტიკოსების რჩეული ნაწარმოებთა

„არსენას“ გამარჯვება

ამ დღეებში გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორმა, მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მოსკოვიდან მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. მიხაილოვი.

ბარათში ნათქვამია:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი თქვენი გამომცემლობის კოლეტივს ულოცავს დიდ ჯილდოს — კონკურსის მსოფლიოს უმშვენიერესი წიგნის“ (ლაიპციგი, 1967 წ.) საერთაშორისო დიპლომს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს მაღალხარისხოვანი გამოცემების გამოშვებაში“.

ვის ეკუთვნის ეს დიდი ჯილდო? რომელი გამოცემა აღიარეს ლაიპციგში მსოფლიოს უმშვენიერეს წიგნად?

საერთაშორისო დიპლომი მოიპოვეს „არსენას ლექსმა“ და მისმა შემქმნელებმა — საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ და გამომცემლობა „ნაკადულმა“...

გერმანიაში, ლაიპციგში — მსოფლიო საგამომცემლო საქმის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრში, წიგნის საერთაშორისო კონკურსები და გამოფენები ტრადიციულად ეწყობა. მათი მიზანია გამოამზეურონ და ფართო პროპაგანდა გაუწიონ მსოფლიოს საუკეთესო საგამომცემლო პროდუქციას. გარდა ამისა, ცხადია, ეს გამოფენა-კონკურსები თავისებურად ხელს უწყობს წიგნის საგამომცემლო და პოლიგრაფიული კულტურის ამაღლებას.

წელს ლაიპციგის საერთაშორისო კონკურსზე მსოფლიოს მრავალი ქვეყანა იყო წარდგენილი. ყოველი სახელმწიფო და გამომცემლობა დიდ პატივად თვლის ამ კონკურსში უბრალოდ მონაწილეობასაც კი. ხოლო რაც შეეხება ჯილდოებს, ეს მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრია. ამიტომ, ცხადია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აქ საუკეთესო გამოცემათა შორის ერთხმად აღიარეს საქართველოში დამზადებული წიგნი.

საერთაშორისო დიპლომს, რომელიც სახალხო ეპოსის „არსენას ლექსის“ ნაკადულისეულმა გამოცემამ მოიპოვა და თბილისში მიხაილოვის წერილთან ერთად მოვიდა, ხელს აწერენ ლაიპციგის წიგნით ვაჭრობის ბირუის თავმჯდომარე და ლაიპციგის ობერ-ბურგომისტრი.

„არსენას წიგნის“ ნაკადულისეული გამოცემა (1966 წ.) ჩვეულებრივი წიგნი არ არის. მხატვარმა, სამი წლის დაუღალავი შრომა მოანდომა მას. სახალხო ეპოსის წმინდა ილუსტრაციებს გარდა მან ცალცალკე დახატა წიგნის თვითეული გვერდი (სულ 100 გვერდია), უდა, სუპერი. ტექსტი დახატულგადაწერილია ძველი ქართული ხელნაწერების ყაიდაზე და მხატვრულად არის გაფორმებული. ტექსტის შესამკობად ოსტატურად არის გამოყენებული ხალხური ორნამენტები, მატერიალური კულტურის ძეგლების ნიმუშები, ფრესკები და ძველი ხელნაწერების გრაფიკული გაფორმება.

„არსენას ლექსის“ გამარჯვება ლაიპციგში შემთხვევითი როდია. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში, როცა წიგნი დაბეჭდილი არ იყო და მხოლოდ მისი თვითეული გვერდის გრაფიკული ორიგინალები არსებობდა, მხატვრის ეს ნამუშევარი წარდგენილი იყო ქ. ბრნოში (ჩეხოსლოვაკია) მოწყობილ „ბიენალეზე“ (წიგნის გრაფიკისა და ილუსტრაციის საერთაშორისო გამოფენა). ნამუშევრებმა ეიურის მაღალი შეფასება მიიღო, მხატვარი დაჯილდოდა პრიზით, პრემიით (4.000 კრონი) და სპეციალური დიპლომით. ჯერ კიდევ მაშინ გამოფენის გენერალური დირექტორი იან ჩეხიში ალ. ბანძელაძეს სწერდა: „ბოხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მოლოცვა ამ დიდი გამარჯვებისა და ჯილდოს გამო“.

ამ გამოფენის შემდეგ ალ. ბანძელაძის გრაფიკული ნამუშევრებით სხვადასხვა ქვეყანაში დაინტერესდნენ. იუგოსლავიიდან, ქ. სლოვენი გრადეკიდან მხატვარს აცნობეს, რომ იქ იხსნება „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი“ და დიდ პატივად ჩავთვლით, თუ მუდმივი ექსპოზიციისათვის თქვენ რომელიმე ნაწარმოებს გამოგვგზავნითო.

შემდეგ მოვიდა წერილი ქ. გრადეციდან (ჩეხოსლოვაკია). გრადეცის ძველი სასახლის სამხედრო გალერიის დირექტორი ზდენეკ ბენეში ალ. ბანძელაძეს სწერდა:

„ბრნოში დაკათვალიერეთ წიგნის გრაფიკის და ილუსტრაციის საერთაშორისო გიენალე, ვნახეთ თქვენი ილუსტრაციები, რომლებიც ძალიან მოგვეწონა. გვინდა მოგაწყოთ „არსენას ლექსის“ თქვენი ნამუშევრების გამოფენა გრადეცის გალერიაში 1967 წლის შემოდგომაზე. გთხოვთ შეგვატყობინოთ, გამოგვიზავნით თუ არა თქვენს სურათებს...“

ალ. ბანძელაძემ გრადეცში გაგზავნა „არსენას ლექსის“ 60 ნამუშევარი. ახლახან მხატვარმა გრადეციდან მიიღო მიწვევა — გამოფენის ორგანიზატორები სთხოვენ, ესტუმროს მათს ქალაქს და მონაწილეობა მიიღოს გამოფენის გახსნაში...



„არსენას ლექსის“ წარმატება ლაიპციგის წიგნის საერთაშორისო კონკურსზე საქართველოს საგამომცემლო საქმის, და, კერძოდ, „ნაკადულის“ დამსახურებული გამარჯვებაა. ამის დასტურია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის სპასტიო სიგელიც, რომელიც „ნაკადულის“ დირექტორმა, მწერალმა კ. ლორთქიფანიძემ მიიღო საგამომცემლო საქმეში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და მოსკოვში, სოკოლნიკში მოწყობილ წიგნის საერთაშორისო გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ლ. კიკნაძე.

* * *

სურათებზე: მხატვარი ალ. ბანძელაძე; „არსენას ლექსის“ თავფურცელის და ლაიპციგში მიღებული დიპლომის ფოტორეპროდუქციები.

საფრანგეთის პარლამენტის სესია

პარიზი. 3 ოქტომბერი. (საკდესი). ბურბონთა სასახლეში (ეროვნული კრება) და ლუქსემბურგის სასახლეში (სენატი) გაიხსნა პარლამენტის სესია.

როგორც ყოველთვის, შემოდგომის სესიის დღის წესრიგის ძირითადი საკითხია საფრანგეთის მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვა. მაგრამ საფრანგეთის პარლამენტის მუშაობის ჩვეულებრივი წესი უეჭველად დაირღვევა იმის გამო, რომ მემარცხენე პარტიები აპირებენ შეიტანონ მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუცია. როგორც ბურბონთა სასახლის კულუარებში გამოირკვა, ამჟამად საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციაში შემავალი პარტიების საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლები ამთავრებენ მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუციის ტექსტის განხილვას. ეს პარტიები მთავრობას უნდობლობას უცხადებენ იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც ეკონომიურ და სოციალურ დარგებში ახორციელებს.

მთავრობის ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის განხილვა შეიძლება სესიის ცენტრალურ მოვლენად გადაიქცეს. პრესის ზოგიერთი ორგანო იუწყება, რომ უნდობლობის რეზოლუციის მიღების შემთხვევაში რეაბილიკის პრეზიდენტმა შეიძლება მიმართოს უკიდურეს ღონისძიებას — პარლამენტის დათხოვნას.

დიდი პატივისცემის გრძნობით

ამანი. 3 ოქტომბერი. (საკდესი). დღევანდელი დილის გაზეთები ძირითად ყურადღებას უთმობენ იორდანიის მეფე ჰუსეინის ვიზიტს საბჭოთა კავშირში. „საბჭოთა კავშირ-იორდანიის თანამშრომლობა სამართლიანი მშვიდობისათვის“, „ჰუსეინისა და პოდგორნის დიდმნიშვნელოვანი სიტყვები“, „ჰუსეინს საზეიმო ვითარებაში შეხვდნენ მოსკოვში“ — ასეთი სათაურებით გაზეთები ბეჭდავენ მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს. პირველ გვერდზე დაბეჭდილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და მეფე ჰუსეინ ბენ თალალის სიტყვები, რომლებიც მათ წარმოთქვეს იორდანელი სტუმრის პატივსაცემად გამართულ სადილზე კრემლის დიდ სასახლეში.

გაზეთი „ად-დუსტური“ განმარტავს მეფის ვიზიტს და აღნიშნავს, რომ ჰუსეინის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში „განმტკიცებს საბჭოთა კავშირ-იორდანიის ურთიერთობას და ამ ორი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ კავშირს“.

გვალვა იაპონიაში

ტოკიო, (საკდესი). მცხუნვარე მზით გადამწვარი ბრინჯის ნათესები, ხეხილის ბაღები, უწყლოდ დარჩენილი სარიგაციო სისტემები, ცარიელი წყალსაცავები — ასე გამოიყურება უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის უმაგალითო გვალვის შედეგად დაზარალებული იაპონიის სამხრეთ-დასავლეთი რაიონები.

სტიქიური უბედურება თავს დატყდა კიუსიუს კუნძულის შვიდ პრეფექტურას, ტიუგოკუს რაიონებისა და სიკოკუს კუნძულის პრეფექტურებს. ბრინჯის, ბოსტნეულის, ხილის მოსავალი თითქმის მთლიანად განადგურდა 500 ათას და მეტ ჰექტარზე. ოფიციალური მონაცემებით, სექტემბრის დამლევისათვის ამ რაიონების ზარალი 75 მილიარდ იენს აღემატებოდა. უკვე იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა სტიქიური უბედურების შედეგად გაკოტრებულმა ფერმერებმა თავი მოიკლეს.

სოციალისტური და კომუნისტური პარტიები მოითხოვენ, რომ მთავრობამ ეფექტიანი ღონისძიებანი განახორციელოს დაზარალებულ რაიონთა მოსახლეობის დასახმარებლად.

ხელი მოანერეს შეთანხმებას

ვ ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირისა და სუდანის რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ. ამ შეთანხმების შესაბამისად ორივე მკეყანა განავითარებს ურთიერთსასარგებლო კონტაქტებს მეცნიერების, უმაღლესი განათლების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, რადიოსა და ტელევიზიის დარგში.

ამავე დროს ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირისა და სუდანის რესპუბლიკის სასწავლებლებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ გაცვლილი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდებათა დიპლომების ურთიერთცნობის შესახებ. (საკდესი).

კანელოპულოსი შინაპატიმრობაში

ათენი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). პარტია ეროვნული რადიკალური კავშირის ლიდერი, საბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი პ. კანელოპულოსი შინაპატიმრობაშია. კანელოპულოსს აუკრძალეს შინიდან გამოსვლა და მნახველების მიღება, მას გამოურთეს ტელეფონი. საბერძნეთის სამხედრო ხელისუფალთა ეს ღონისძიებები მოჰყვა ყოფილი პრემიერის ორ ინტერვიუს უცხოელი ჟურნალისტებისადმი, რომელშიც მან მოითხოვა, რომ აღადგინონ თავისუფლების რეჟიმი და სამხედრო ლიდერებმა უარი თქვან ხელისუფლებაზე.

უკვე რამდენიმე წელია ნამდვილი ომი წარმოებს პორტუგალიელ კოლონიზატორებსა და „პორტუგალიის“ გვინეის პარტიზანებს შორის. პატრიოტებმა გაათავისუფლეს და კონტროლს უწევენ ქვეყნის ნახევარზე მეტს. ეს სურათი გადაღებულია ჩრდილოეთის განთავისუფლებულ რაიონში. რაზმის პოლიტიკური კომისარი ბენჯამი დ' აკუნია ესაუბრება მებრძოლებს.

ფოტო ახალი ამბების სააგენტოსი.

ოსყიდვისა და მუქარის საშუალებით

პარიზი, 2 ოქტომბერი, (საკდესი). დღეს ხანგრძლივი გაჯანჯლების და მაქინაციების შემდეგ გენერლებმა ნგუენ ვი თხიეუმ და ნგუენ კაო კიმ შეძლეს უმნიშვნელო უმრავლესობით „დეკანონებინათ“ სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ კრებაში 3 სექტემბერს მოწყობილი „პრეზიდენტის არჩევნების“ შედეგები.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სამხრეთ ვიეტნამის ეროვნული კრების სპეციალურმა კომისიამ ბათილად ცნო „პრეზიდენტის არჩევნები“ და ურჩია კრებას გაეუქმებინა მისი შედეგები. გენერლებმა თხიეუმ და კიმ მოსყიდვისა და დაშინების გზით აიღეს დეპუტატები უარეყოთ სპეციალური კომისიის რეკომენდაციები.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, ეროვნული კრების სხდომის წინ ნგუენ კაო კიმ ვახშმი გაუმართა მასთან დაახლოებულ 40 დეპუტატს. როგორც ოპოზიცია ამტკიცებს, ამ „ვახშმის“ შემდეგ დეპუტატებმა არც თუ ცოტა ამერიკული დოლარი ჩაიკიბეს.

კენჭისყრის წინ ეროვნული კრების სხდომის დარბაზში პოლიციის რაზმით შეიჭრა სამხრეთ ვიეტნამის პოლიციის შეფი ნგუენ ნგოკ ლონანი. ეროვნული კრების სპიკერი ფან ქხაკ შაუ გადადგა ნიშნად პროტესტისა კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ. „მე კვლავ ბათილად მიმაჩნია არჩევნები“, — განაცხადა მან.

დამახასიათებელია აგრეთვე ის, რომ ჯერ კიდევ ეროვნული კრების გადაწყვეტილებამდე გენერლებს თხიეუსა და კიმ მისლმების დეპუტაბში მოუვიდათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონისაგან.

თავი დაიწვა ახალგაზრდა გუდისტმა მონაზონმა

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ახალგაზრდა ბუდისტმა მონაზონმა დღეს თავი დაიწვა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ სამხრეთ ვიეტნამის ეგრეთწოდებულმა „დამფუძნებელმა კრებამ“ გადაწყვიტა „კანონიერად“ ცნოს ამა წლის 3 სექტემბრის პრეზიდენტის არჩევნების ფარსი.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, ახალგაზრდა მონაზონმა თავი დაიწვა კანტოში — 80 მილზე საიგონის სამხრეთით.

სუეცის მოსახლეობის ევაკუაცია

კაირო, (საკდესი). 60 ათასი კაცი, ანუ ქალაქ სუეცის მოსახლეობის მეოთხედი გაიხიზნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სიღრმეში იმის გამო, რომ ისრაელის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს სუეცის არხის ზონაში საცხოვრებელ უბნებს, განაცხადა დღეს სუეცის პროვინციის გუბერნატორმა ჰამიდ შამუდმა. მომავალ კვირაში, თქვა მან, გავხიზნავთ კიდევ 60 ათას მოქალაქეს.

ხიზნავენ ქალებს, ბავშვებს, ხანში შესულთ — ყველას, ვისაც გარკვეული პასუხისმგებლობა არ ეკისრება თავისი ქვეყნის თავდაცვასთან დაკავშირებით.

სუეცის მოსახლეთა 50 პროცენტი აგრეთვე გადაყვანილია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სხვა ქალაქების სკოლებში.

ეგვიპტური წარმოების პირველი ტანკერი

კაირო, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ქალაქ ხელუანში წყალში ჩაუშვეს პირველი ტანკერი, რომელიც ეგვიპტელებმა ააშენეს. ტანკერი, რომელსაც „დალია“ უწოდეს, ივლის კაიროსა და ასუანის შორის. ამას იუწყება გაზეთი „ალ-გუმჰურია“.

აგრესორები თავხედდებიან

ბეირუთი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ისრაელში გრძელდება შოვინისტური კამპანია, რომელსაც აჩაღებენ ექსტრემისტული ელემენტები პრესასა და რადიოში. ისრაელის მთავრობის თავდაცვის მინისტრი გენერალი მოშე დაიანი არმიის ჟურნალისა და არმიის რადიოსადგურის თანამშრომლებისათვის მიცემულ ინტერვიუში აშკარად იმუქრებოდა „ისრაელმა, შესაძლოა, ბრძოლა არაბული ქვეყნების დედაქალაქებში გადაიტანოსო“. „დაზავების ხაზები. — განაცხადა ადვირახსნილმა ავანტიურისტმა, — იდეალური ხაზვრეგნია ისრაელის უშიშროების თვალსაზრისით. ვეჭვობ შესაძლებელი იყოს უკეთესი საზღვრები ჩვენი ქვეყნისათვის“. გამოაცაცარავა რა ტელ-ავივის მმართველი ზედაფენის ექსპანსიონისტული მისწრაფება, მოშე დაიანი ემუქრებოდა არაბულ სახელმწიფოებს, რომ კიდევ უფრო გააფართოებს აგრესიას. „გადაკვეთო სუეცის არხი, — განაცხადა მან, — ნიშნავს, მიუახლოვდე კაიროს, გადაკვეთო მდინარე იორდანი — ნიშნავს შეხვიდე ამანში, გასცდე ელ-კუნეიტრას ნიშნავს მიაღწიო დამასკოს“.

თავდაცვის მინისტრი ცდილობდა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ახლანდელი დაძაბულობის მიზეზები სხვისთვის გადაბრალებინა და იქამდე მივიდა, რომ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ბრალად დასდო „მოქმედების ესკალაცია სუეცის არხის დაზავების ხაზზე“.

ისრაელის მინიკატრი განცხადება ლიბანის დედაქალაქის პოლიტიკურ მიმმხილველებს იმის ახალ ცდად მიაჩნიათ, რომ ზეგავლენა მოახდინონ იმ არაბულ ქვეყნებზე, რომლებსაც არ სურთ შეურიგდნენ ისრაელის მიერ მათი ტერიტორიების ოკუპაციას.

ა. ჟუშნირი — ერთგულელი ლიდერი

„სელტიკს“ გამარჯვების სხერა

ვინ გაანაგრძოს ბრძოლასა?

დღეს კიევსა და ცვიკაუში

დიდ ინტერესს იწვევს დღევანდელი მატჩი კიევში ევროპის ჩემპიონთა თასზე — „დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“ (გლაზგო). ამჯერად გუნდები მეორეჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. როგორც ცნობილია, გლაზგოში უკრაინელმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს — 2:1. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება გაეცნონ, თუ რას ფიქრობენ მატჩის წინ გუნდის მწვრთნელები.

3. მასლოვი (კიევის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი): თუ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ არ ვიცნობდით „სელტიკს“, ახლა მასზე ყველაფერი ვიცით: თამაშის მანერა, მოთამაშეთა სუსტი და ძლიერი მხარეები. „სელტიკი“ ძალიან ძლიერი გუნდია, მე ახლაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ ისინი საკონტინენტთაშორისო თასს მოიგებენ, გუნდი მრავალ საერთაშორისო შეხვედრაშია გამობრძმედილი.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კიევის „დინამოც“ ჩემპიონია, ჩემპიონია საბჭოთა კავშირისა! ეს კი ჩვენ ბევრს გვავალებს, ჩვენ გავიმარჯვეთ მეტოქის მოედანზე, მაგრამ ბრძოლა გრძელდება. დამშვიდება არ გვარგებს. ვიმეორებ — „სელტიკი“ მაღალი კლასის, კარგად დაკომპლექტებული, ფილიგრანული ტექნიკის მქონე გუნდია. ნათელია, რომ კიევში ნამდვილი სპორტული ბრძოლა გაჩაღდება. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული ამ მატჩის მთელი პასუხისმგებლობა.

გუნდში ცვლილებები ალბათ არ მოხდება, ყველა რგოლი სტაბილურია. ძალიან გვინდა განვაგრძოთ ჩემპიონთა თასისათვის ბრძოლა შემდგომ ეტაპზეც.

შონ ფელონი („სელტიკის“ მწვრთნელი, მენეჯერის მოადგილე): „გლაზგოში კიეველები ძალიან კარგად დამაშობდნენ, თუმცა ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ მატჩი შესანიშნავი ფეხბურთის მაგალითი იყო. შანსები ერთნაირი გვქონდა, მაგრამ კიეველებმა ისინი გამოიყენეს.

მე კარგად მახსოვს მატჩი თბილისში, რომელიც 1:1 დამთავრდა. თუ მკითხავთ თამაშობენ, თუ არა მას შემდეგ კიეველები უკეთ, გიპასუხებთ: 100 პროცენტით უკეთ თამაშობენ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საბო. იგი საერთაშორისო კლასის ფეხბურთელია, სხვა ფეხბურთელთაგან გამოვყოფ ენერგიულ და მოხერხებულ ბიშოვეცს და აუღელვებელ რუდაკოვს.

მატჩს მოუთმენლად ველოდებით. კიეველებთან მეოთხედ ვთამაშობთ, კიევში კი პირველად მივდივართ. იმედია კიეველებს კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ. შოტლანდიური გაზეთები გვაფრთხილებენ, რომ მატჩი ძნელი იქნება, მაგრამ ეს ჩვენც კარგად გვესმის. პროგნოზები არ მიყვარს, მაგრამ გვჯერა, რომ მატჩს მოვიგებთ, ყოველ შემთხვევაში ბურთებს გავიტანთ.

ამავე დღეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ევროპის თასის მფლობელთა თასზე ითამაშებენ „მოტორი“ (ცვიკაუ) და „ტორპედო“ (მოსკოვი). ამ გუნდების შეხვედრა მოსკოვში 0:0 დამთავრდა. მასპინძლები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, მათ ხომ შეძლეს სტუმრად ყოფნისას გოლი არ გაეშვათ. თავის მოედანზე „მოტორი“ კი ძლიერად თამაშობს. ტორპედოელები ამ ბოლო ხანებში შედარებით სუსტად გამოიყურებიან, მაგრამ კოლექტივს უნარი აქვს საჭირო მომენტში მთელი ძალით ითამაშოს, ყოველ შემთხვევაში მოსკოველები მთელი სერიოზულობით ეზმადებოდნენ სპასუხო მატჩისათვის.

ფრე დონეცკში

გუშინ დონეცკში ქუთაისის „ტორპედომ“ მორიგი შეხვედრა გამართა „შახტიორთან“.

შეხვედრის დასაწყისიდანვე ცხადი გახდა, რომ ქუთაისელებს გასული თამაშებში მოპოვებული წარმატების განმტკიცება სურდათ და ამიტომ ადრეულ ეტაპზე ალაპარაკებდნენ. ბურთს ინიციატივა ეკუთვნოდა ორივე გუნდს, ბურთი ხშირად ერეოდა ჯარიმის ზონაში. ბურთი ბადეში ორ-ორ ჯერ ორივე გუნდმა ჩააგდო. ბურთი ბადეში ბოლოს